

ს ი ა ნ შ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნან. გ. ლომიძისა

ჭიქინა ვიშიდან

ვიშის რადიო (საფრანგეთი) თავისი ბერლინელი ბატონების სასიამოვნოდ ავრცელებს ჭორს, თითქოს მოსკოვში კაცზე მხოლოდ 80 გრამი პური რიგდებოდეს. ფრანგი ხალხი განუწყვეტლივ შიმშილობს.

გაზეთებიდან

ახალი საქმე იშოვა ვიშის პატარა ტიკინამ, იგი ბატონის საამოდ ლაქლაქობს ენაწრიბინა,

და მის ჩაძახილს იძახის, ვით ცარიელი ჭურია, ჩვენს პურზე ლაქობს, რომ ამით თითონ იშოვოს პურია.

გაუისკოვალის ანგარიში

„ფიურერს“ ფანჯრის მინაზე შეესმა ნელი კაკუნის, კარი გაიღო და ვიდაც შევიდა ფეხის ბაკუნით. უხმოდ მივიდა შიტლერთან, გაბრტყელდა სავარძელშია, ჯერ მოსახსნამის კალთები უხმოდ მოკეცა ხელშია, შემდეგ კი ჩაიხიბითა და სთქვა მქუხარე ბასითა: — ადლფს ვახლავარ, რასა იქმ შენი არიულ რასითა? — ო, ჩემს მეფისტოს სალაში, — ჰქადრა შიტლერმა კრძალვითა, და წამოუდგა მას ფეხზე — გულში ნაღველის მალვითა. — დაჯექი, — უთხრა მეფისტომ, — ჩემთან არ გმართებს შიშია, ჩამაბარევი გასული კვარტალის ანგარიშია, მაგრამ გახსოვდეს, არ მოხსნა ჩვეულ სიცრუის ტომრები, ჩემთან არ გავა იცოდე, აფერისტული ნომრები, ვით „პატიოსან“ მკვლელსა და ყაჩაღს შეშფერის წებითა, ნუ მალავ შენს მარცხს, დაყაჭე სიზუსტით, გულის კენხითა: პირობის ძალით, „ბლიც-კრიგით“ უნდა დაგეპურო ქვეყანა, და უცბად მთელი მსოფლიო — შენს მხარეს გადმოგეყვანა.

ჩემთანაც გქონდა პირობა, რომ ომის წამოწყებითა, ორმოც მილიონ გერმანელს მოკლავდი შენის ნებითა — ახლა კი რა მოგივიდა? — საბჭოთა ფრონტზე მარტოდენ გასწვლელამდე სულ ათი მილიონი ძლივს დატოვე. ესტკეპი, ახლა ამა ზაფხულში — მე არ შევცდები, მგონია, რომ ამ რიცხვს კვლავ მივუმატო ოთხიოდ მილიონია! ეს კოტა არის... ამ ტემპით შენ თუ განაგრძობ მსვლელობას, ხომ დიდხანს მოუნდები კვლავ გერმანელ ხალხის მკვლელობას? დადუმდა მეფისტოფელი, მცირე პაუზა დამყარდა, დიდხანსა სდუმდა შიტლერიც, თუმც სული გაუაფთარდა, მაგრამ, მან ბოლოს ლულულულით დალაღჰყო ძალისძალით, — პირობას გაძლევ, ვეცდები ვიყო ისეთი ჯალათი, რომ როს მეწვევი მეორედ — დაგატკბო საქმის მსვლელობით, — ჩემგან შექმნილი ქაოხით, სისხლით და ხალხთა მკვლელობით.

29/10/42
5
102

თვალსაჩინო უაქვი

პარიზის მთავარ მოედანზე, სადაც მოთავსებულია გერმანიის ჯარების სარდლობა, თვითმფრინავიდან რამოდენიმეჯერ გადმოაგდეს თავისუფალი საფრანგეთის დროშა.

ნახ. მ. ვაღბლსკისა



ინდოურივით გაფხორილ სარდალს, შქონდა სურვილი ჩაუქრობელი, რომ განემარტა პარიზელთათვის — შიტლერიან თქვენი მპურბელი. — გახსოვდეთ, — სთქვა მან, — თქვენი ქვეყანა ჩვენს „ახალ წესრიგს“ მთლად შეეთვისა,

მოკვდა, წავიდა უკვე იღება, თავისუფალი საფრანგეთისა... მაგრამ უეცრად შეუწყდა სიტყვა, მცირეოდენი შეხვდა სკანდალი, მოხდა პაუზა, რადგან... გაჭეჭულ ცხვირს იხოცავდა — ხვწნით სარდალი.

წყველი გაუკვავლობა

ნახ. კუკინისკებისა

(„კროკოდლილიდან“)



— მე არ ვიცი, როდის დამთავრდება ომი... მე არ ვიცი რით დამთავრდება 1942 წელი.

ს ი მ კ ი მ ე

სამი დღისა და ღამის განმავლობაში ფრონტის ერთერთ უბანზე ბრძოლა არ შეწყვეტილა. გერმანელ ფაშისტებს გააფთრებული იერიშები მოჰქონდათ მაგრამ ვერაფერს ხდებოდნენ, ბრძოლის ველი მტრის გვამებით იფარებოდა. ბრძოლის მეორე დღეს წითელარმიელებმა მტერი ახლოს მოუშვეს.

- ალბად შედრკენ წითლები.
- ალბად კიდევ გამოიცვალეს საფარი. გამარჯვება ჩვენია. — ფიქრობდნენ შეტევაზე გადმოსული ფაშისტები, მაგრამ ისინი უცებ წააწყდნენ ჩვენი ტანკებისა და ჩასაფრებულ მეტყვამფრქვევების გამანადგურებელ წინააღმდეგობას. ბრძოლის ველი კვლავ მტრის გვამებით დაიფარა.
- მესამე დღეს მტერმა უამრავი ტანკები გადმოიხროლა იმ უბანზე სადაც ბრძოლები წარმოებდა, მაგრამ სანამ მტერი თავისი ტანკებით წითელ ჯარს შეუტევდა, საბჭოთა მხედრებმა მიიღეს ახალი ტანკები და მტრის რაზმების განლაგებაში შეიჭრნენ.
- ახალი ტანკები მოგვივიდა! — ამბობდნენ საბჭოთა მებრძოლები.
- იშვიათია. ფაშისტურ ტანკებს უშუშასავით ამსხვრევს.
- მძიმეა?
- მძიმეა... გერმანელებისათვის: მისი გამოჩენისთანავე გერმანელებმა 119 ტანკი დაჰკარგეს.

ს. ისარიძე

ფრონტის გაუთავიდან

ფრიცის ნახმარი

(ბაბუა ტარასის ნაამბობი)

ჩვენს პარტიზანულ რაზმში არის ერთი თვრამეტი წლის ბიჭი სტიოპა. კარგი მარჯვე ბიჭია, მხოლოდ რაღაც უცნაურია, ხშირად უბრალო რამეებში ვერ ერკვევა.

ერთხელ ის დაბრუნდა დაწვერიდან ძალზე გაფთრებული. დაჯდა თავისთვის და დაღონებული სახით რაღაცაზე ჩაფიქრდა. მივედი მასთან, მოვუჯექი გვერდით და ვეკითხები:

— რა მოგივიდა ბიჭო? ნუ დამიმაღავ!

— უბედურებას გადავეყარე — ამბობს ის — სოფლიდან როცა გამოვდიოდი გამოთხოვებისას ვესროლე ერთ გერმანელ ოკუპანტს, ნახევარი მოვკალი და ნახევარი გაიქცა.

ეს რომ მიხრა სტიოპამ, ძალიან მეწყინა, — ვიფიქრე შეიშალა საწყალი ბიჭი მეთქი.

— როგორ თუ ნახევარი? — შევეკითხე მე. — ალბად შენ ის მსუბუქად დასჭერი, წაიბორძიკა, მაგრამ ისევ წამოდგა და გაიქცა?

— არა ბაბუა! — ამბობს ის, — ღმერთს გეფიცები ნახევარი ფრიცი მოვკალი. თვითონ დავინახე. როცა ვესროლე წაიქცა, შემდეგ რაღაც გაურკვეველი ორ ფეხზე მდგარი მოშორდა მას და გაიქცა. მეორე ნაწილი კი იქვე დარჩა, ჩემი თვალით ვხედავდი როგორ გაითსლაშა.

ამის შემდეგ მე უკვე თითქმის საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ყმაწვილი ჭკუიდან შეიშალა. გულდაწყვეტილი წავედი, რომ ეს ამბავი მეთქვა რაზმის მეთაურისათვის.

მაგრამ საბედნიეროდ ეს ბნელი საქმე მალე გამოირკვა. მოვიდა იმ სოფლიდან ერთი დედაბერი და ყველაფერი აგვისნა როგორც იყო სინამდვილეში. თურმე ორი ფრიცი შესულა ქოხში და სახლის პატრონის ქურჭი მოუტაციათ. რადგან საშინელი ყინვა იყო, ორთავენი გაეხვივნენ იმ ქურჭელს და ისე მოდიოდნენ. ამ დროს უწია მათ სტიოპას ტყვიამ. ერთი მათგანი უსულოდ დაეცა და მეორემ კი მოუსხვა.

როცა ეს გავიგეთ ბევრს დავცინოდით სტიოპას. ის ყოჩაღი ბიჭია. იმ ნახევარ ფრიცს ცხრა მთელი კიდევ მიუმატე, ესე იგი სულ ცხრანახევარი არამზალა გაჰგავნა საიქოხს.

(„გ ა ვ ა ნ ა დ გ უ რ ო თ მ ტ ე რ ი“)

არსებობი პასუხი

- მოთხარით: რას ატარებენ ახლა ბერლინში? — შეეკითხა თავის ნაცნობს მოდების მიმდევარი პროვინციელი ქალი.
- უმთავრესად მიცვალებულებს, — უპასუხა ნაცნობმა.

უბრალო არითმეტიკა

გერმანელი ოფიცერი (მაჰმარათავს კოლმეურნე მოხუცს) — რამდენია თქვენს სოფელში პარტიზანი?

მოსუსტი — ისე რომ, თქვენო კეთილშობილებავ, ჩვენს სოფელში სულ ოცდაათი სახლია... ყველა ცარიელია. ახლა თქვენ თვით დასთვალეთ.

(„მ ე ბ რ ძ ო ლ ი ა რ მ ი ე ლ ი“)